ოქმი:**ო63.6321336001**
თარიღი:**02/12/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 22

ქ. სამტრედია. 15 ნოემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 15 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი,

ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა,

ზაზა ადეიშვილი (ონლაინ ჩართვა), კოტე ნაცვლიშვილი (ონლაინ ჩართვა), დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე (ონლაინ ჩართვა), ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე, ილია მჟავია (ონლაინ ჩართვა), ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), ავთანდილ სტურუა (ონლაინ ჩართვა), კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს ხელმძღვანელი,

   კობა ბიბილეიშვილი

2. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების ბუღალტერი, ნინო რუხაძე.

3. ა.(ა).ი.პ. ,,დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' ხელმძღვანელი, ირმა შანიძე.

4. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' ხელმძღვანელი,

   ნინო ნანობაშვილი. ბუღალტერი, ავთანდილ შენგელია.

5. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის~

ხელმძღვანელი,

მაია ნიკოლეიშვილი. ბუღალტერი, ნესტან შანიძე.

6. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას'' ხელმძღვანელი, ნინო ნინუა. ბუღალტერი, ხათუნა ნიკოლეიშვილი.

7. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი~-ს ხელმძღვანელი, პავლე კაპანაძე. ბუღალტერი, ნანა ხუჭუა.

8. ა.(ა).ი.პ. "სახლი თანადგომა"_ს ხელმძღვანელი, ზემინარ ბოხუა. ბუღალტერი, ნანული კიკაბიძე.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათელა ხაბეიშვილი.

11. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

13. ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ონლაინ ჩაერთვებიან საკრებულოს წევრები: ზაზა ადეიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ილია მჟვაია, დავით ნიკოლეიშვილი და ავთანდილ სტურუა.

საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ., ვ.სტურუა/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ., ვ.სტურუა/

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 167 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

მ/შ., ვ.სტურუა/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 171 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ., ვ.სტურუა/

5. `არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის~ 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის18 დეკემბრის N 38 166 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ., ვ.სტურუა/

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო"-ს 2021 წლის სუბსიდიის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38181 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ., ვ.სტურუა/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას 2021 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ, " სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ., ვ.სტურუა/

8. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი~-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 183 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ., ვ.სტურუა/

9. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სახლი თანადგომა"_ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 187 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ., ვ.სტურუა/

10. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", 2020 წლის 18 დეკემბრის N38 179 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ., ვ.სტურუა/

11. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ., ვ.სტურუა/

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე შენობა–ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.309) 162.6 კვ.მ. ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება”-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 200000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.096) 2021 წლის 18 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

14. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება’’-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N62-6221312118 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანებას 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 35.00 ათ.ლარით. ბიუჯეტის გაზრდის მთავარი მიზეზია საწვავის ფასების მატება. როდესაც შედგა 2021 წლის ბიუჯეტი კომუნალურ გაერთიანებაზე 1 ლიტრი ბენზინის მიწოდების ღირებულება შეადგენდა 1.75 ლარს. ამჟამად 1 ლიტრი ბენზინის ღირებულება არის 2.70 ლარი, ხოლო დიზელის ღირებულება შეადგენდა 1.82 ლარს, ამჟამად მიწოდების ფასია 2.50 ლარი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

> მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N62-6221312122 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანებას 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, არაფინანსურ აქტივში არასაცხოვრებელი შენობების მუხლში თანხა მცირდება 12.0 ათ.ლარით, კომპიუტერის შეძენის თანხა 1.5 ათ.ლარით, მაცივრის შეძენის თანხა 1.5 ათ.ლარით, ავეჯის შეძენის თანხა 2.4 ათ.ლარით, სულ არაფინანსური აქტივის მუხლში თანხა მცირდება 17.4 ათ.ლარით. ასევე კვების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 4.5 ათ.ლარით, მივლინების ხარჯის თანხა 1.0 ათ.ლარით, სულ მცირდება 22.9 ათ.ლარით. შესაბამისად იზრდება შრომითი ხელშეკრულება (შეშის დასამუშავებლად) 4.0 ათ.ლარით, იზრდება თანხა საოფისე ავეჯი მუხლში (ტოლების ბაღის ავეჯისათვის) 2.4 ათ.ლარით, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟების ხარჯის მუხლში (ბაგა-ბაღებისათვის შეშის ღუმელების და ტოლების ბაღის ჭურჭლის შესაძენად) 6.5 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯის მუხლში (დეზინფექციის ჩასატარებლად) 2.0 ათ.ლარით, ოფისის ხარჯის მუხლი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 1.0 ათ.ლარით, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლი 3.0 ათ.ლარით, ბინის ქირა (დროებით, ტოლების ბაღში მიმდინარე რემონტის გამო) 1.0 ათ.ლარით, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარებისათვის 3.0 ათ.ლარით, სულ თანხები გაიზარდა 22.9 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 167 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N62-6221312115 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის NN1 სახელოვნებო სკოლას 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მუხლში ,,მივლინება ქვეყნის შიგნით'' თანხა მცირდება 0.30 ათ.ლარით, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდინარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავების ხარჯის მუხლში 0.20 ათ. ლარით, კულტურული სპორტული საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში 0.60 ათ. ლარით, სულ 1.10 ათ.ლარით; შესაბამისად თანხა იზრდება მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა-დამონტაჟების ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით, საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯის მუხლში 0.70 ათ.ლარით, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა) გადაყვანის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით. ასევე მცირდება თანხა არაფინანსური აქტივების გეგმიდან მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენის ხარჯის მუხლში 2.8 ათ.ლარით, შესაბამისად პრინტერის, სკანერის და ასლგადამღების შეძენის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.80 ათ.ლარით, სხვა მანქანადანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 2.00 ათ.ლარით.

აზრი გამოთქვა: ნუგზარ ჯამბურიამ

ნუგზარ ჯამბურია - მადლობა მინდა გადაგიხადოთ გაწეული სამუშაოსათვის, მაგრამ არის რაღაც რასაც თქვენ, ა(ა).ი.პ.-ის წარმომადგენლები, ტექნიკურ შეცდომებს უწოდებთ. აღნიშნული შეცდომების გასწორება უწევს საკრებულოს აპარატს. მაქსიმალური ყურადღებას გთხოვთ ყველას, როცა თქვენს მიერ გადმოგზავნილი მასალები იქნება ჩვენამდე მოწოდებული.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 167 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 171 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის

შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N 62-6221312119 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის 2021 წლის სუსბიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, თანხა მცირდება საქონელი და მომსახურების მუხლში - ოფისის ხარჯი საოფისე ავეჯი 0.50 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი 0.10 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება არაფინანსური აქტივის მუხლის თანხა, კერძოდ მანქანა დანადგარები და ინვენტარის მუხლში ავეჯის ხარჯის თანხა იზრდება 0.60 ათ.ლარით. ასევე არაფინანსური აქტივების მუხლში, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, თანხა იზრდება - 1.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 171 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ''.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა''-ს 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის18 დეკემბრის N 38 166 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N62-6221312117 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების სამუსიკო სკოლის 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.30 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯის მუხლის თანხა 0.5 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა''-ს 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის18 დეკემბრის N 38 166 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ''.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით - მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო"-ს 2021 წლის სუბსიდიის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38181 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N62-6221312116 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფრენბურთო კლუბი „ჯიკო"-ს 2021 წლის სუბსიდიის გემაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, თანხა მცირდება შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის მუხლში 10095 ლარით, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის მუხლში 1245 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლში 7660 ლარით, სულ 19000 ლარით. შესაბამისად იზრდება 1000 ლარით საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯის მუხლი, დანარჩენი 18000 ლარით მცირდება სუბსიდიის გეგმა.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ლეჟავამ, ნუგზარ ჯამბურიამ.

გიორგი ლეჟავა- მინდა მოგახსენოთ, რომ ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ა.(ა).ი.პ. სუბსიდიის თანხას აბრუნებს უკან ბიუჯეტში. თუმცა მას აქვს ძალიან კარგი ჩანაფიქრი, რაშიც გარკვეულ წილად მუნიციპალიტეტის მერია დაეხმარება. უნდათ შეიძინონ სატრანსპორტო საშუალება. რომელიც დაუზოგავთ საკმაო რაოდენობის ფინანსებს. ტრანსპორტის ხარჯი გამონთავისუფლდება და ნაწილობრივ მიმართული იქნას საწვავის ხარჯში.

ნუგზარ ჯამბურია - აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველი შემთხვევაა, როდესაც ჯიკოს წარმომადგენელი გარკვეული მიზეზების გამო სხდომას ვერ ესწრება. მისასალმებელია ხელმძღვანელობის სამომავლო გათვლა, რომელიც აუცილებლად წაადგებათ მათ საქმიანობაში.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო"-ს 2021 წლის სუბსიდიის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38181 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით - მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის

მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას 2021 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ, “ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N62-6221312120 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას, 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ: არაფინანსური ხარჯის მუხლიდან 0.1 ათ.ლარი გადაიტანება სუბსიდიის გეგმის მუხლში. აგრეთვე თანამდებობრივი სარგოს მუხლის თანხა მცირდება 0.6 ათ.ლარით (თანამშრომლის უფასო შვებულებაში გასვლის გამო), ვინაიდან თანამშრომლის უფასო შვებულებაში გასვლის გამო მისი კუთვნილი საათები გადანაწილდა სხვა პედაგოგებზე, რამაც გამოიწვია დანამატის სახით კუთვნილი ანაზღაურების გაცემა; ასევე მცირდება მივლინების ხარჯის მუხლში თანხა 0.5 ათ.ლარით, საკანცელარიო ხარჯის მუხლში 2.0 ათ.ლარით, მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის ხარჯის მუხლში 0.5 ათ.ლარით, ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი ხარჯის მუხლში 0.7 ათ.ლარით. შესაბამისად აღნიშნული თანხით გაიზრდება შემდეგი მუხლები: დანამატის ხარჯის მუხლი 0.65 ათ.ლარით, კომპიუტერული პროგრამების შეძენის ხარჯის მუხლი 0.4 ათ.ლარით, საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯის მუხლი 1.5 ათ.ლარი, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლი 0.8 ათ.ლარით, რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.7 ათ.ლარით.

მინდა ავღნიშნო, რომ სამხატვრო სკოლა-გალერეას მიერ წარმოდგენილ პროექტს არ ახლდა დანართი N4, საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთის შესახებ, რომელიც დამატებით სამხატვრო სკოლა-გალერეას ხელმძღვანელობის მიერ, წარმოდგებილი იქნა კომისიის სხდომაზე.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას 2021 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ, “ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი~-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 183 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N 62-6221312121 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბის,

2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. სუბსიდიის შემოსავლების გეგმა იზრდება 11.0 ათ.ლარით. კერძოდ, საკვების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 11.0 ათ.ლარით (საკვების ფასის მატების და ცხენების რაოდენობის 6 სულით გაზრდის გამო). ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილებები, მივლინების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.5 ათ.ლარით, სამსახურეობრივი ცხოველების მოვლის და აღკაზმულობის ხარჯის მუხლში 0.8 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლი 1.3 ათ.ლარით. კავშირგაბმულობის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.1 ათ.ლარით, შესაბამისად ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.1 ათ.ლარით, ტრანსპორტის ხარჯის მუხლი მცირდება 0.6 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელის და მომსახურების ხარჯში სპორტული ღონისძიებების ხარჯის მუხლის თანხა 0.8 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება სხვა დანარჩენი საქონელის და მომსახურებაზე გაწეული ხარჯის მუხლის თანხა 1.4 ათ.ლარით. (სატენდერო დოკუმენტაცის მომზადებისთვის და ტენდერის საფასურისთვის).

აზრი გამოთქვეს: ლიზა კრავეიშვილმა და გიორგი ლეჟავამ.

გამომსვლელებმა მადლობა გადაუხადეს საცხენოსნო კლუბის ხელმძღვანელს და დადებითად შეაფასეს სოფელ დიდ ჯიხაიშში საცხენოსნო კლუბის მიერ გამართული ღონისძიება -,, დოღი''.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი~-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 183 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სახლი თანადგომა"_ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 187 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N 62-6221312114 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი „თანადგომა“ -ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.30 ათ. ლარით, ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯის მუხლში 0.30 ათ. ლარით, სულ 0.60 ათ.ლარით, შესაბამისად სხვა მცირეფასიანი ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.30 ათ. ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობაზე გაწეული ხარჯის მუხლში 0.30 ათ. ლარით, სულ 0.60 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სახლი თანადგომა"_ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 187 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 18 დეკემბრის N38 179 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

> მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N62-622131265 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, 2021 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამაში ცვლილების საკითხს. სოციალური ბიუჯეტი გაიზარდა 155 000 - ლარით. კერძოდ,

მუხლი 1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - 85 000 ლარით;

მუხლი 12. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება -- 10 000 ლარით;

მუხლი 14. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 20 000 ლარით;

მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში ---20 000 ლარით;

მუხლი 25. აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია --- 20 000 ლარით;

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 18 დეკემბრის N38 179 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 8 ნოემბრის*** N 62-6221312123 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს. ბიუჯეტში ასახული ყველა ის ცვლილება, რომელიც წარმოდგენილი იყო ზემოთ.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა დადგენილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე შენობა–ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.309) 162.6 კვ.მ ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 5 ნოემბრის*** N 62-622130992 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე შენობა–ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.309) 162.6 კვ.მ. ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი– 238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე შენობა–ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.309) 162.6 კვ.მ. ფართი.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე შენობა–ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.309) 162.6 კვ.მ. ფართის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლებში მდებარე შენობა–ნაგებობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.309) 162.6 კვ.მ ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება”-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი–238772949) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე’’.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 200000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.096) 2021 წლის 18 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ’’.

მომხსენებელმა გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 ***წლის 5 ნოემბრის*** N 62-622130992 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 200000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.096) 2021 წლის 18 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 200 000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.096) 2021 წლის 18 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში ემელიანე კილაძეს ჩაენაცვლოს შ.პ.ს. ,,ლურჯი ბაში’’ (საიდენტიფიკაციო კოდი-402190847), იგივე პირობებით.

აზრი გამოთქვა: ნუგზარ ჯამბურიამ.

ნუგზარ ჯამბურია - დარბაზმა არ გამიგოს ისე, რომ თითქოს მე საკითხის დადებითად გადაწყვეტას ვეწინააღმდეგები. მაგრამ მინდა ავღნიშნო, რომ წარმომადგენელი უნდა დასწრებოდა საკრებულოს სხდომას. მივესალმები სოფლის მეურნეობის კუთხით საქმის განვითარებას, მაგრამ ურთიერთპატივისცემა და ყურადღება აუცილებელია. სასურველი იყო დღეს, აღნიშნული მიწის მფლობელი, წარმდგარიყო საკრებულოს წინაშე, რათა გარკვეული სახის შეკითხვებისათვის გაეცა პასუხი.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 200000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.42.096) 2021 წლის 18 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარის ჩანაცვლებისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ''.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი